



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY



განკარგულება:გ-97.97223336

თარიღი:29/11/2022

დაბაში, ყოფილი ტურბაზის ტერიტორიაზე არსებულ დასახლებაში ქუჩისთვის - ჭიდაობა ძიუდოში საქართველოს ისტორიაში პირველი ქალის - მსოფლიო და ევროპის ჩემპიონის ეთერ ლიპარტელიანის სახელის მინიჭების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა. ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 ივნისის N-19 დადგენილების მე-6 და მე-7 მუხლების თანახმად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დაბაში, ყოფილი ტურბაზის ტერიტორიაზე არსებულ დასახლებაში ქუჩას მიენიჭოს - ჭიდაობა ძიუდოში, საქართველოს ისტორიაში პირველი ქალის - მსოფლიო და ევროპის ჩემპიონის ეთერ ლიპარტელიანის სახელი.
2. განკარგულება გადაეგზავნოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. ეთხოვოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას აღნიშნული ქუჩის სიტუაციური რუკის (ქალაქის ელექტრონული ვერსიის)დამუშავება. რუკაზე წერტილებით და ხაზებით უნდა იყოს აღწერილი ქუჩის ფორმა და გავრცელების არეალი. ქუჩის დასაწყისი და დასასრული უნდა აღიწეროს წერტილებით, რომელსაც უნდა ახლდეს X,Y კოორდინატები WGS-84 კოორდინატთა სისტემაში.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ლენტეხის მაგისტრატ სასამართლოში კანონით დადგენილი წესით.
5. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

დავითი პირველი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

